საქართველოს მთავრობის განკარგულება

№666 2016 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობისათვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნულ საშენ მეურნეობაზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ 2016 წელს შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 65 ერთეულით.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შტატგარეშე მომუშავეებიდან:

ა) 30 (ოცდაათი) შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურების დაფინანსება განხორციელდეს სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობის საკუთარი შემოსავლებიდან;

ბ) 20 (ოცი) შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურების დაფინანსება განხორციელდეს სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობის

საკუთარი შემოსავლებიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების გაშენების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად, 2016 წლის 30 ივნისამდე;

გ) 15 (თხუთმეტი) შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურების დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობის ქვეპროგრამით - „საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების დაცვისა და აღდგენის ხელშეწყობა“ გამოყოფილი ასიგნებებიდან.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობისათვის „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №286 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი